


შპს „დორანი“

2023 წლის
ფინანსური ანგარიშგება

დირექტორი




გ. ზირაქაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	412,182	75,990
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	249,632	164,305
ბიოლოგიური აქტივები	1,996,861	1,996,861
ძირითადი საშუალებები	1,050,031	902,957
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	7,000	7,000
სულ აქტივები	3,715,706	3,147,113
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	31,220	25,142
საგადასახადო ვალდებულებები	16,090	1,646
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	534,923	291,279
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1,109,458	1,020,457
სხვა ვალდებულებები	1,224	926
სულ ვალდებულებები	1,692,915	1,339,450
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	3,580,735	3,804,817
გაუნაწილებელი მოგება /-დაგროვილი ზარალი	-3,729,460	-4,115,783
გადაფასების რეზერვი	1,996,861	1,996,861
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	174,655	121,768
სულ საკუთარი კაპიტალი	2,022,791	1,807,663
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,715,706	3,147,113

დირექტორი




გ. ზირაქაშვილი

2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	1,452,137	918,549
საქონლის გაყიდვიდან	1,452,137	918,549
გაყიდვების თვითღირებულება	-274,199	-376,471
საერთო მოგება	1,177,938	542,078
დასაქმებულთა ანაზღაურება	-409,157	-380,203
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-159,372	-114,626
საპროცენტო ხარჯი	-153,924	-120,111
იჯარის ხარჯი	-212	-212
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-71,595	-46,128
სულ საოპერაციო ხარჯები	-794,260	-661,280
საოპერაციო მოგება	383,678	-119,202
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	383,678	-119,202
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა		40,068
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		40,068
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	383,678	-79,134
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,807,663	2,090,904
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-168,550	4,000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,022,791	1,807,663

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დორანი“ დაარსებულია 2004 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტი. მისი ძირითადი საქმიანობაა თხილის მოყვანა და რეალიზაცია.

საწარმოს დამფუძნებლები არიან:

- გიორგი ზირაქაშვილი 10%
- ბესიკ წილოსანი - 90%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში, ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, არაწრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი.


სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი მოვიდა - პირველი გავიდა“ (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. განმარტებითი შენიშვნები

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

მუხლში „ფული და ფულის ეკვივალენტები“ აგრეგირებულია ნაღდი ფული სალაროში და ფული საბანკო ანგარიშებზე, შემდეგი მნიშვნელობებით:

	31/12/23	01/01/23
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	412,182	75,990

მუხლი „ძირითადი საშუალებები“ ასახავს მიწის, შენობა-ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამელიორაციო მოწყობილობების, საოფისე ავეჯის ნაჩენ ღირებულებას.

მუხლი „სავაჭრო და სხვა მოთხოვნები“

მუხლის მნიშვნელობა მოიცავს:

- რეალიზებულ პროდუქციზე მყიდველებისგან ჯერ არანაზღაურებული თანხები - 164,407 ლარი. შპს დორანი-ფერმა-სთვის საანგარიშოს წინა პერიოდში მიწოდებულია სიმინდის ჩალა და თივა, საფასურის ნაწილი გადახდილია, ვალად დარჩენილია 90,792 ლარი; შპს გლობალ ექსპორტისთვის 2023 წ. ნოემბერ-დეკემბერში მიწოდებულია 73,614 ლარის თხილი გაუტეხავი. საფასური საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არ არის დაფარული.
- მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები - 85,223 ლარი. შპს აგროქართლისთვის გადახდილია 19,960 ლარი, საქონელი ჯერ არ არის მოწოდებული; შპს მაიაგროსთვის გადახდილია 20,686 ლარი, საქონელი ჯერ არ არის მიღებული; შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისთვის გადახდილია 3,442 ლარი, საქონელი ჯერ არ არის მოწოდებული.

მუხლი „ბიოლოგიური აქტივები“

კომპანიას 86 ჰა-ზე გაშენებული აქვს თხილის ნარგავები. ნარგავების საშუალო ასაკი არის 12 წელიწადი. მუხლის მნიშვნელობა მიღებულია აქტივის რეალური ღირებულების აღრიცხვის მოდელით.

მუხლი „ძირითადი საშუალებები“

საანგარიშო პერიოდისთვის კომპანიის საკუთრებაში იყო 10,659 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქ. ახმეტაში, რომელზედაც განთავსებულია კომპანიის ოფისი და საწარმოო შენობა-ნაგებობები და 154 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ახმეტის მუნიციპალიტეტში (ქ. ახმეტა, ს. მატანი, ს. ქორეთი), რომელთა ნაწილზე (86 ჰა) გაშენებულია თხილის ნარგავები, ნაწილი კი გამოიყენება სათიბად. მიწის ნაკვეთების საბალანსო ღირებულებამ პერიოდის ბოლოს შეადგინა 156,088 ლარი.

საწარმოს საკუთრებაში პერიოდის ბოლოსთვის იყო 154,940 ლარის შენობა-ნაგებობები და 739,001 ლარის მანქანა-დანადგარები.

დირექტორი

გ. ზირაქაშვილი

მუხლი "ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში"

საწარმო ფლობს წილს შპს დორანი-ფერმა-ში. ინვესტიციის ღირებულება შეადგენს 7,000 ლარს.

კაპიტალი და ვალდებულებები

მუხლი „სავაჭრო ვალდებულებები“

მუხლში ასახულია ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია კონტრაგენტებისგან საქონლის ან მომსახურების საწარმოს მიერ პერიოდის ბოლოსთვის ჯერ არ ანაზღაურებული თანხებით.

გამოსაყოფია დავალიანება შპს აგროქართლი-ს მიმართ, თანხით 3,065 ლარი; შპს ეპ ჯორჯია მიწოდება-ს მიმართ - 1,117 ლარი; შპს სილქ როუდ ენჯინერინგ-ის მიმართ - 10,491 ლარი.

მუხლი „საგადასახადო ვალდებულებები“

თანხა 16,090 ლარი აღნიშნავს პერიოდის ბოლოსათვის დაუფარავ, პერსონალის ხელფასებიდან დასაკავებელ სამემოსავლო გადასახადს.

მუხლი "მოკლევადიანი ნასესხები სახსრები"

საწარმოს აღებული აქვს მოკლევადიანი სესხი სს ბაზისბანკი-სგან. კრედიტის დაუფარავმა ნაწილმა 23.12.2023 წ.-სათვის შეადგინა 534,923 ლარი.

მუხლი „გრძელვადიანი ნასესხები სახსრები“

2019 წ. 1 აპრილის ხელშეკრულებით, საწარმოს ფიზიკური პირისგან აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი, წლიური 12%-იანი სარგებლით. სესხი მიიღება ტრანშებად, მსესხებლის მოთხოვნილი გრაფიკით, 1 500 000 ლარის ფარგლებში. პერიოდის ბოლოსათვის სესხის ძირითადმა ნაწილმა შეადგინა 741,670 ლარი, გადასახდელი სარგებლის სრულმა თანხამ შეადგინა 278,786 ლარი.

მუხლი "გაუნაწილებელი მოგება /-დაგროვილი ზარალი"

მუხლში აგრეგირებულია საწარმოს ოპერირების დაწყებიდან 31.12.1013 წ.-მდე დაგროვილი ზარალი 3,729,460 ლარის ოდენობით.

მუხლი "გადაფასების რეზერვი"

საწარმო, კანონმდებლობის შესაბამისად, პერიოდულად ახდენს საკუთარი ბიოლოგიური აქტივების გადაფასებას. პერიოდის განმავლობაში გადაფასება არ მომხდარა. პერიოდის ბოლოს რეზერვმა შეადგინა 1,996,861 ლარი.

მუხლი "საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები"

საწარმო სარგებლობს სახელმწიფოსგან სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის დასახმარებლად ინიცირებული დახმარებებით (გრანტები, ბანკის სესხის თანადაფინანსება). მნიშვნელობა 174,655 ლარი ასახავს წინა და საანგარიშო პერიოდებში საწარმოს მიერ სახელმწიფოსგან მიღებული შეღავათების ჯამურ ოდენობას.

ბ) სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მუხლის „ამონაგები“ მნიშვნელობა, 1,452,137 ლარი, მოიცავს 2023 წ. რეალიზებული პროდუქციის (თხილი) ღირებულებას:

რაოდენობა

დირექტორი

გ. ზირაქაშვილი

თხილი გაუტეხავი
თხილის გული

176.4 ტონა
5.5 ტონა

მუხლი "გაყიდვების თვითღირებულება"
მნიშვნელობა 274,199 ლარი შედგება თხილის პლანტაციის მოვლისათვის საჭირო
სასუქების და შხამქიმიკატების, საწვავ-საცხები მასალების, საექსპლოატაციო,
ტრანსპორტირება-გადატვირთვის ხარჯებისგან.

მუხლი "დასაქმებულთა ანაზღაურება"
მუხლში ასახულია პერიოდის განმავლობაში საწარმოს პერსონალზე დარიცხული
ხელფასები.

მუხლი "ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი"
საწარმო საკუთარ ძირითად საშუალებებს არიცხავს ცვეთა/ამორტიზაციას
კანონმდებლობის შესაბამისად.

შედეგად, 2023 წ.-ს საწარმოს მოგებამ შეადგინა 383,678 ლარი. საკუთარი კაპიტალი
პერიოდის დასაწყისისთვის შეადგენდა 1,807,663 ლარს, პერიოდის ბოლოსათვის
2,022,791 ლარს.

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი